საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 21/06/11 2011 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ტბებისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაწყურში მდებარე 7315 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N64.31.05.031), 210410 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N64.31.04.401), 48938 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N64.31.04.402), 13700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 288 კვ.მ, N2 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 92 კვ.მ, N3 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 35 კვ.მ, N4 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 15 კვ.მ (მიწის (უძრავი

ქონების) საკადასტრო კოდი N64.31.04.403), 27851 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1 - ავზი, განაშენიანების ფართობი 925 კვ.მ, N2 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 768 კვ.მ, N3 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 154 კვ.მ, N4 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 160 კვ.მ, N5 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 63 კვ.მ, N6 (არასაცხოვრებელი), განაშენიანების ფართობი - 30 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N64.31.04.404) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ტბებს".

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვეში;

ბ) 2014 წლის 1 ივნისამდე ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა;

გ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვეში ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად განსაბორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს ორი თვით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.